

მე-3 კლასი

1. (3 ქულა) სანაყინეში გაყიდული ნაყინების რაოდენობა წარმოდგენილია პიქტოგრამით.

შოკოლადის ნაყინზე რამდენით მეტი ვანილის ნაყინი გაიყიდა?



= 15 ნაყინს.

ნაყინი	რაოდენობა
შოკოლადის	
ნაღების	
ვანილის	
მარწყვის	

ა) 4-ით მეტი

ბ) 60 -ით მეტი

გ) 120-ით მეტი

დ) 128-ით მეტი

2. (3 ქულა) ორი რიცხვის შეკრებისას, პირველი შესაკრები გაზარდეს 6-ით, მეორე კი 15-ით და პასუხი მიიღეს 80. რისი ტოლია თავდაპირველი ჯამი?

ა) 80

ბ) 21

გ) 61

დ) 59

3. (4 ქულა) კოტე დემეტრეზე მაღალია და დაჩიზე დაბალი. გიორგი დაჩიზე დაბალია და კოტეზე მაღალი. დაალაგეთ ეს ბავშვები სიმაღლის კლების მიხედვით.




ა) კოტე, დემეტრე, დაჩი, გიორგი

ბ) კოტე, გიორგი, დაჩი, დემეტრე

გ) დაჩი, გიორგი, კოტე, დემეტრე

დ) დაჩი, კოტე, გიორგი, დემეტრე

4. (4 ქულა) აუზში წყალი ივსება ორი მილით. ერთი მილით ყოველ წუთში ჩაედინება 18 ლიტრი წყალი. მეორე მილით ყოველ წუთში ჩაედინება 22 ლიტრი წყალი. რამდენი ლიტრი წყალი ჩავა აუზში, თუ გავხსნით პირველ მილს 4 წუთით და მეორე მილს 3 წუთით?




ა) 40 ლიტრი

ბ) 132 ლიტრი

გ) 138 ლიტრი

დ) 47 ლიტრი

5. (5 ქულა) სასწორის ერთ თევზზე დევს საზამთრო და 3 ცალი 3კგ-იანი საწონი. სასწორის მეორე თევზზე დევს 2 ცალი 3კგ-იანი და 3 ცალი 5კგ-იანი საწონი. სასწორი გაწონასწორებულია. რას იწონის საზამთრო?



ა) 10 კგ

ბ) 12 კგ

გ) 14 კგ

დ) 21 კგ

6. (5 ქულა) გვაქვს ოთხი ყუთი. პირველ ყუთში 4-ით მეტი ბურთულაა, ვიდრე მეორეში. მეორეში 17-ით მეტი ბურთულაა, ვიდრე მესამეში. მესამეში 32-ით მეტი ბურთულაა, ვიდრე მეოთხეში. რამდენი ბურთულაა პირველ ყუთში, თუ მეოთხეში 8 ბურთულაა?


ა) 61

ბ) 57

გ) 64

დ) 53

7. (5 ქულა) მარიკა 31 ვაგონიანი მატარებლის ბოლოდან მე-5 ვაგონში ავიდა. შემდეგ მან დაიწყო მოძრაობა წინისკენ და გაიარა 11 ვაგონი. რომელ ვაგონში აღმოჩნდებოდა მარიკა?




ა) 14

ბ) 20

გ) 27

დ) 15

8. (8 ქულა) რამდენი სამკუთხედი არსებობს, რომლის ერთი წვერო ზედა წრფეზე მონიშნული რომელიმე წერტილია, ხოლო დანარჩენი ორი ქვედა წრფეზე მონიშნული რომელიმე ორი წერტილი?



ა) 2

ბ) 3

გ) 4

დ) 6

9. (8 ქულა) კვადრეტი გაჭრეს სამ ტოლ მართკუთხედად. იპოვეთ თითოეული მართკუთხედის პერიმეტრი, თუ კვადრატის პერიმეტრი 36 სმ-ია.


ა) 24 სმ

ბ) 26 სმ

გ) 12 სმ

დ) 18 სმ

10. (8 ქულა) მოცემული კუბის წიბოს სიგრძე 6სმ-ია. კუბი დაჭრეს 3 სმ სიგრძის წიბოს მქონე კუბებად. რამდენი კუბი მიიღება?



ა) 4

ბ) 8

გ) 9

დ) 24